სააპელაციო საბჭოს გადაწყვეტილება № 02

2018 წ. "20" 02

ქ.თბილისი

შპს თბილისის დამოუკიდებელი საერო გიმნაზია კანდელის სააპელაციო საჩივრის მიღების შესახებ

2018 წლის 12 თებერვალს სააპელაციო საბჭოს წარედგინა შპს თბილისის დამოუკიდებელი საერო გიმნაზია კანდელის სააპელაციო საჩივარი (ცენტრში რეგისტრაციის N136440) ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2017 წლის 21 დეკემბრის N113 გადაწყვეტილების მიმართ. კერძოდ, სააპელაციო საჩივრი ეხება შპს დამოუკიდებელი გიმნაზია კანდელის ავტორიზაციის გაუქმებას. საჩივრით მოთხოვნილია გადაწყვეტილების მიღება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოსთვის საკითხის ხელახლა განსახილველად დაბრუნების შესახებ.

სააპელაციო საბჭომ ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა სააპელაციო საჩივრის მიღების საკითხი. გაეცნო წარმოდგენილ მასალებს. მიიჩნია, რომ საჩივარი პასუხობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 26^3 მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნებს და ამავე დებულების 26^4 მუხლის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. მიღებულ იქნას შპს თბილისის დამოუკიდებელი საერო გიმნაზია კანდელის N136440 სააპელაციო საჩივარი.

2. დაევალოს სააპელაციო საბჭოს სამდივნოს გადაწყვეტილების დაინტერესებული მხარეებისთვის გაცნობის უზრუნველყოფა.

3. სააპელაციო საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ N 6.

თავმჯდომარე

ნინო ოკრიბელაშვილი